საქართველოს კანონი

„ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 08.06.2012, სარეგისტრაციო კოდი: 470070000.05.001.016760) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. N2 დანართის ცხრილით გათვალისწინებული ჩამონათვალის „ნარკოტიკული საშუალებები“:

ა) მე-12 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

12	ამფეტამინი	0,005	0,1	1

“;

ბ) 33-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

33	დეზომორფინი	0,001	0,01	1

“;

გ) 91-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

91	ლიზერგინის მჟავა, მისი წარმოებულები და პრეპარატები, მათ შორის, ლიზერგიდი	0,00002	0,0002	0,001

“;

დ) 93-ე და 94-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

93	მდმა (3,4-მეთილენდიოქ-სიმეტამფეტამინი)	0,05	0,5	1
94	მეთადონი (ფუძე და მარილები)	0,005	0,2	1

“;

ე) 105-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

105	მეთკათინონი (ეფედრონი)	0,005	0,1	1

“;

ვ) 109-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

109	მეტამფეტამინი (ფუძე და მარილები, მიუხედავად თანმხლები ნივთიერებების არსებობისა)	0,005	0,1	1

“;

ზ) 189-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”

189	ჰეროინი	0,005	0,2	1

“;

2. №2 დანართის შენიშვნის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობამდე (მითითებული ოდენობის ჩათვლით) ითვლება მცირე ოდენობად;

ბ) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად ითვლება მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობაზე მეტი, მე-4 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობამდე (მითითებული ოდენობის ჩათვლით), გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე ან 273[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევისა, როდესაც მე-3 ვერტიკალურ გრაფაში მითითებულ ოდენობამდე (მითითებული ოდენობის ჩათვლით) ითვლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყის ოდენობად და ამის შესახებ კონკრეტულად მითითებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ამავე მუხლებში;“.

მუხლი 2.

1. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, როდესაც ამ კანონში განხორციელებული ცვლილება იწვევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას გაუქმებას ან შემსუბუქებას, განაჩენი გადაისინჯება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXVII თავით დადგენილი წესით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობისას სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადასინჯოს განაჩენი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ან მის გარეშე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობას განიხილავს მისი მიღებიდან 1 თვის ვადაში.

4. ამ მუხლით განსაზღვრული საკითხების განხილვა სასამართლოს შეუძლია ზეპირი მოსმენის გარეშე.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *სალომე ზურაბიშვილი*